



ეკოლოგიური სანიტარია ანუ ეკოსანი, წარმოადგენს სანიტარიის ფორმას, რომელიც გულისხმობს შარდის განცალკევებას ფეკალური მასებისგან, წყლის ხელახალ გამოყენებასა და ადამიანურ ნარჩენებში არსებული საკვები ნივთიერებების უკან ნიადაგში დაბრუნებას.

შესაბამისად აწყობილი და მოვლილი ეკოსან სისტემა უზრუნველყოფს ჰიგიენურად სუფთა, ეკონომიურ და დახურული ციკლის სისტემას, რომლის საშუალებითაც ადამიანური ნარჩენები გარდაიქმნება საკვებ ნივთიერებად და ბრუნდება ნიადაგში. ეკოსან სისტემები გამოიყენება რეგიონებში, სადაც საკანალიზაციო სისტემა არ არსებობს, ან სადაც წყლის მომარაგება შეზღუდულია.

## სოფლად თემთა განვითარების სააგენტო



სოფლად თემთა განვითარების სააგენტო (RCDA) მცხეთის მუნიციპალიტეტი სოფელი მისაქციელი ტელ: +995 593 171772 ელ.ფოსტა: [rcda@rcda.ge](mailto:rcda@rcda.ge) [www.rcda.ge](http://www.rcda.ge)




**RCDA** RURAL COMMUNITIES DEVELOPMENT AGENCY

ევროპის ქალები საერთო მომავლისათვის (WECF) ელ.ფოსტა: [wecf@wecf.eu](mailto:wecf@wecf.eu) [www.wecf.eu](http://www.wecf.eu)

მშრალი ტიპის ეკოტუალეტის სარგებელი

# ეკოტუალეტი

- უნიტაზის კონსტრუქცია ისეთია, რომ შარდი გამოიყოფა ფეკალური მასისგან. შარდსა და ფეკალურ მასებს ურთიერთშეხება არა აქვთ.
- შარდი და ფეკალური მასა სპეციალურ საცავში გროვდება. ფეკალური მასა წინასწარ გამზადებული მიწით, კირით, ნახერხით ან ნაცრით იფარება.
- შარდი და ფეკალური მასა გადამუშავდება



ამგვარი ტუალეტის ამენება ადვილია და შესაძლებელია ყველა სახის საცხოვრებელი პირობებისთვის, იაფი და ადგილზე არსებული მასალების გამოყენებით

მშრალი ტიპის ეკოტუალეტები მდგრადია წყალდიდობის დროს, რადგან მისი საცავები მოთავსებულია დაცულ ადგილას. ამდენად, მშრალი ტიპის ეკოტუალეტი მიზანშეწონილია იმ ადგილებისთვის, სადაც:

- წყლის ნაკლებობაა, მშრალ ან ნახევრადმშრალ კლიმატურ პირობებში
- არახელსაყრელი მიწის პირობებში, როგორცაა მერყევი ან ქვიანი მიწა, მიწისქვეშა წყლის მაღალი დონე
- სადაც მიწისქვეშა წყალი გამოიყენება სასმელად (ჭა, ჭაბურღილი)
- ნიადაგი ნაკლებმოსავლიანია



# ეკოტუალეტის უპირატესობები

- არ საჭიროებს წყლის უწყვეტ წყაროს
- არ აქვს სუნის და არ იზიდავს ბუზებს, თუ მოვლილია შესაბამისად
- ამენება შესაძლებელია ადგილზე არსებული მასალებით
- დიდი რაოდენობით საკვები ნივთიერებების მიღების შესაძლებლობა
- ხელსაყრელია ყველა ტიპის მომხმარებლისთვის
- არ აბინძურებს მიწისქვეშა და ზედაპირული წყლის რესურსებს

